წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის ოქმი N3

24 ივნისი 2022 წელი

ქ. წალენჯიხა

**სხდომას თავმჯდომარეობდა** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე კორნელი სალია

**სხდომას ესწრებოდნენ :**

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები: გიორგი დარსალია, თამარ ბელქანია, მაია მიქავა, რომან კვარაცხელია, კახა კვარაცხელია

**სხდომას არ ესწრებოდნენ** : დარეჯან დადიანი, ნანა ქაობალია, ეკა სამუშია, მამუკა მიქავა, ჯულიეტა როგავა, დიმა კვარაცხელია, ზაზა უბილავა, სოლომონ სარია, დალი კვარაცხელია, ასმათ კვარაცხელია

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:**

ხატია მაქაცარია - გენდერზე პასუხისმგებელი პირი, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

თეა სარია - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

დავით სოსელია - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი

სხდომა დაიწყო: 15:00 სთ.

სხდომა დასრულდა : 15:55 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ სხდომის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მიმართულებების განსაზღვრა.

   მომხსენებელი: კორნელი სალია

2. „სივრცის მოწყობა ქალებისათვის“ პროექტის ავტორთან შეხვედრა და პროექტის განხილვა.

   მომხსენებელი: ამიდა ახალაია

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მიმართულებების განსაზღვრა.**

გენდერული თანასწორობის საბჭოს დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გენდერული საბჭოს თავმჯდომარე -კორნელი სალიამ საბჭოს წევრებს გააცნო წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის ძირითადი მიმართულებები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებზე და აქტივობებზე ისაუბრა და იმ მნიშვნელოვან გამოწვევებზე გააკეთა აქცენტი, რომელიც გენდერული საბჭოს მუშაობის პროცესში წამყვან როლს ასრულებს. მან ხაზი გაუსვა სამოქალაქო სექტორის ჩართულობის მნიშვნელობას და თანამშრომლობის ერთიანი მექანიზმის შექმნის აუცილებლობას.

**მოისმინეს 2. „სივრცის მოწყობა ქალებისათვის“ პროექტის ავტორთან შეხვედრა და პროექტის განხილვა.**

ამიდა ახალაიამ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს წარმოუდგინა პროექტი „სივრცის მოწყობა ქალებისთვის“ , რომელიც ითვალისწინებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფახულანის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფისთვის პოლიმერულ თიხაზე ძერწვის შესწავლას, რაც ქალების გაძლიერებასა და განათლების მიღებას უკავშირდება. მას სურს, პატარა სოფელში დამკვიდრდეს გენდერული თანასწორობა, რომ ქალებმა თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგრძნონ, იცოდნენ მათი უფლებები და მოიპოვონ ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რათა მეტად გაძლიერდნენ. მან გამოთქვა სურვილი დაარსოს ისეთი დაწესებულება, სადაც ქალები მიიღებენ განათლებას, რაც მათ ეკონომიკურ გაძლიერებასა და ჩართულობას შეუწყობს ხელს.

ასევე პროექტის ავტორმა აღნიშნა, რომ ამ სივრცის გამოყენება თავისუფალი იქნება საგანმანათლებლო ღონისძიებებისთვის, სადაც დასწრებას შეძლებენ არა მარტო ქალები, არამედ სოფლის მოსახლეობა, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება საინიციატივო ჯგუფებზე, ასევე მოწვეულ იქნებიან სხვადასხვა სოფლიდან თუ ქალაქიდან ცნობილი და წარმატებული ქალბატონები რომლებიც , მათ გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

ამ სივრცის არსებობისთვის სჭირდება საოფისე ფართი და სხვადასხვა ინვენტარი: მაგიდა, სკამები, ლეპტოპი, პროექტორი, პრინტერი, ლამინირების აპარატი, პოლიმერული თიხა, ღუმელი და სხვადასხვა საღებავები. ასევე გარკვეული თანხის ნაწილი სარემონტო სამუშაოებისთვის.

აზრი გამოთქვეს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა:

მაია მიქავამ აღნიშნა, რომ ეს იდეა ნამდვილად კარგია და მისასალმებელია, თუ მოსახლეობის მხრიდან არის დაიტერესება პოლიმერულ თიხაზე ძერწვის.

თამარ ბელქანიამ აღნიშნა, რომ ეს პროექტი აუცილებლად უნდა დაფინანსდეს, რათა მცირედით მაინც გაუმჯობესდეს მოწყვლადი ჯგუფის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ყველა დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს პროექტის ავტორმა სრულყოფილად, რათა კანონის ფარგლებში მოხდეს ინვენტარის შეძენა თუ ფართის გამოყოფა აღნიშნული სივრცის მოსაწყობად.

კორნელი სალიამ მიმართა მერიის შესაბამის სამსახურებს შეისწავლონ  რამდენად შესაძლებელია  ფართის გადაცემა უსასყიდლო უზუფრუქტის სახით.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ აღნიშნა, რომ დეტალურად გაეცნობა პროექტის ავტორის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას რათა კანონმდებლობის შესაბამისად იქნეს დაფინანსებული.

გენდერული თანასწორობის საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა ეს პროექტი დაფინანსდეს სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ.

საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს

თავმჯდომარე  კორნელი სალია